ოქმი N 3

ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2016 წლის 14 აპრილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ლაშა ცატავა
2. როსტევან გვარამია
3. მერაბ ფილიპია
4. როლანდ სერგია
5. ვასილ კუკავა
6. გენადი ქაძანაია

სხდომას თავმჯდომარეობდა ლ. ცატავა - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. მოქალაქე, ელენა კურაკინას (პ/ნ-42001014576) რწმუნებულის ქართლოს ჯობავას (პ/ნ 581003564) 2016 წლის 25 მარტის N-152 განცხადების განხილვა.

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

2. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამართლებრივი ზედამხედველობის სამსახურის 2016 წლის 30 მარტის N-161 წერილის განხილვა. („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 თებერვლის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“)

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. მოქალაქე ელენა კურაკინას (პ/ნ-42001014576) რწმუნებულის ქართლოს ჯობავას (პ/ნ 581003564) 2016 წლის 25 მარტის N152 განცხადების განხილვა.

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისის წევრებს გააცნო მოქალაქე ელენა კურაკინას რწმუნებულის ქართლოს ჯობავას განცხადება და აღნიშნა, რომ მოქალაქე ე. კურაკინას რწმუნებულის ქ. ჯობავას განცხადება აღემატება საკრებულოს კომპეტენციას და განაცხადა, რომ ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეუწონლად მიაჩნია მისი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

აზრი გამოთქვეს: როსტევან გვარამიამ, ვასილ კუკავამ, მერაბ ფილიპიამ და განაცხადეს, რომ მოქალაქე ე. კურაკინას რწმუნებულის ქ. ჯობავას განცხადება აღემატება საკრებულოს კომპეტენციას და მას უარი უნდა ეთქვას საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვაზე და აღნიშნულზე ეცნობოს განმცხადებელს.

კომისიის თავმჯდომარე ლაშა ცატავა შემოვიდა წინადადებით კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0

დადგინეს: უარი ეთქვას მოქალაქე ე. კურაკინას რწმუნებულს ქ. ჯობავას განცხადებაში დასმულ საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვის თაობაზე და აღნიშნულზე ეცნობოს განმცხადებელს.

2. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამართლებრივი ზედამხედველობის სამსახურის 2016 წლის 30 მარტის N-161 წერილის განხილვა. („ხობის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 თებერვლის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“)

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამართლებრივი ზედამხედველობის სამსახურიდან მიღებული სამართლებრივი შენიშვნების საფუძველზე კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 თებერვლის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და დადგენილების მეხუთე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „**მუხლი 5.** ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ხობში დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 6.19 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-3 და მე-4 პუნქტებში აღნიშნული წესი.“ მიღებულ დადგენილებაში „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება იყო მითითებული, რომელიც ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N407 დადგენილებით, რამაც გამოიწვია ძალადაკარგული აქტის ამოღება დადგენილებიდან და შემოვიდა წინადადებით დადგენილების პროექტის საკრებულოს ბიუროზე წარდგენა განსახილველად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6, წინააღმდეგი - არც ერთი

დადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლ. ცატავა